



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სატრანსპორტო ლოგისტიკა

შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი

27 ნოემბერი, 2018 წ.

დასკვნის წარდგენის თარიღი
31 დეკემბერი, 2018 წ.

თბილისი
2018

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიითითებით	შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	245433623
დაწესებულების სახე	სასწავლო უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სატრანსპორტო ლოგისტიკა
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მიითითებით	სატრანსპორტო ლოჯისტიკის მაგისტრი 040704
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული, საბჭოს გადაწყვეტილება N193, 10/12/2013

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მანანა მოისწრაფიშვილი, სტუ, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გიორგი ჯაფარიძე, სტუ, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	რუსუდან სეთურიძე, თსუ, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ანა გვრიტიშვილი, თსუ, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა „სატრანსპორტო ლოგისტიკა“ აკრედიტებულია 2013 წელს (აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება N193, 10/12/2013 წ.) იგი მოიცავს 120 კრედიტს. პროგრამის სასწავლო კომპონენტია 90 კრედიტი, საიდანაც სავალდებულო სასწავლო კურსებს ეთმობა 65 კრედიტი, არჩევით სასწავლო კურსებს 15 კრედიტი, პრაქტიკას 10 კრედიტი. საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტი შეადგენს 30 კრედიტს.

პროგრამა შედგენილია ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების და განხორციელების მარეგულირებელი“ 2007 წლის ნდ N2-030101-01 დებულების შესაბამისად. პროგრამის შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა შეესაბამება სწავლების საფეხურს.

პროგრამას აქვს ლოგიკური დაშვების წინაპირობები, მისი შინაარსი და სტრუქტურა შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის არჩევით კომპონენტებს.

პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის ECTS სისტემის შესაბამისად.

პროგრამას აკრედიტაციის ვადა ეწურება 2018 წლის 10 დეკემბერს.

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის „სატრანსპორტო ლოგისტიკა“ აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა განხორციელდა ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტში ვიზიტის დროს, რომლის საფუძველი იყო ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება. შესწავლილი იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტური მასალა: საგანმანათლებლო პროგრამა, სასწავლო კურსის სილაბუსები, ადამიანური რესურსის (აკადემიური და მოწვეული პერსონალი) კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები, მათთან გაფორმებული ხელშეკრულებები, სტუდენტების მიერ შესრულებული სამაგისტრო ნაშრომები შერჩევით და ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია.

აკრედიტაციის ექსპერტთა წინასწარი შეხვედრა შედგა 2018 წლის 25 ნოემბერს ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში, ხოლო 26-27 ნოემბერს განხორციელდა ვიზიტი სასწავლო დაწესებულებაში, სადაც წინასწარ შეთანხმებული გრაფიკის დაცვით ინტერვიუებისა და ადგილზე ვიზუალური დათვალიერებით გადამოწმდა დოკუმენტებით წარმოდგენილ ინფორმაციასთან შესაბამისობა.

▪ საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

სტანდარტი 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა: 1.1 პროგრამის მიზნები - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან; 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, გამომდინარე იქიდან, რომ საჭიროა დაწესებულებამ შეიმუშავოს სწავლის შედეგების შეფასების შედეგების სამიზნე ნიშნულებთან დადარების მექანიზმი; საერთო ჯამში, სტანდარტი 1 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

სტანდარტი 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა: 2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან; 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან; 2.3. სასწავლო კურსი - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, რადგან საჭიროა სასწავლო კურსების კრედიტების რაოდენობის დაზუსტება მათი სპეციფიკის მიხედვით. 2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/სამემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან პრაქტიკაზე გასაგზავნი პირების რაოდენობის, კრედიტების/საათების რაოდენობისა და პრაქტიკის მიზნის ხელშეკრულებაში გათვალისწინების აუცილებლობის გამო; 2.5. სწავლა-სწავლების მეთოდები - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან; 2.6. სტუდენტების შეფასება - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, რადგან რეკომენდებულია, მოხდეს შეფასების სისტემის დიფერენცირება სასწავლო კურსების სპეციფიკის მიხედვით. საერთო ჯამში, სტანდარტი 2 მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

სტანდარტი 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა: 3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან; 3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. საერთო ჯამში, სტანდარტი 3 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

სტანდარტი 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა: სტანდარტი 4.1. ადამიანური რესურსი, რომელიც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან; 4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან; 4.3 მატერიალური რესურსი - შესაბამისობასია მოთხოვნებთან; 4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა - შესაბამისობასია მოთხოვნებთან. საერთო ჯამში, სტანდარტი 4 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

სტანდარტი 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები: 5.1 შიდა ხარისხის შეფასება - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან; 5.2 გარე ხარისხის შეფასება - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან; 5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. საერთო ჯამში, სტანდარტი 5 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

▪ რეკომენდაციები

- ✓ საჭიროა დაწესებულებამ დაადგინოს პროგრამისთვის სამიზნე ნიშნულები თითოეული სწავლის შედეგისათვის და განახორციელოს სწავლის შედეგების შეფასების შედეგების სამიზნე ნიშნულებთან დადარება;
- ✓ სასწავლო კურსისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა საჭიროა დაზუსტდეს სასწავლო კურსის სპეციფიკის, კერძოდ სირთულის, მნიშვნელოვნების, ასათვისებელი მასალის და სწავლების ფორმების გათვალისწინებით;

- ✓ საჭიროა დაკონკრეტდეს პრაქტიკაზე გასაგზავნი პირების რაოდენობა, კრედიტების/საათების რაოდენობა და პრაქტიკის მიზანი;
- ✓ რეკომენდებულია, მოხდეს შეფასების სისტემის დიფერენცირება სასწავლო კურსების სპეციფიკის.

▪ **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- ✓ დაწესებულებამ სასურველია გააფართოვოს და დააჩქაროს პროგრამის ინტერნაციონალიზაცია;
- ✓ დაწესებულებამ სასურველია გააძლიეროს სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა ჩართულობა საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და მოდიფიცირების პროცესებში;
- ✓ დაწესებულებამ სასურველია დანერგოს ერთზე მეტი შემფასებლის მიერ სწავლის შედეგების შეფასების პრაქტიკა;
- ✓ სასურველია ზოგიერთ სასწავლო კურსის შინაარსში თემების სათაურს დაემატოს თემის მოკლე აღწერილობა;
- ✓ სასურველია, სილაბუსებში გაიწეროს სტუდენტების შეფასებისას გამოყენებული დავალებების ზუსტი რაოდენობა;
- ✓ სასურველია სასწავლო კურსების ძირითად ლიტერატურაში გამოყენებულ ელექტრონულ ვერსიებში მითითებული იყოს ავტორის ვინაობა და საერთო გვერდების რაოდენობა;
- ✓ სასურველია, გაცვლითი პროგრამების უმოკლეს ვადაში ამოქმედება;
- ✓ სასურველია სხვადასხვა ღონისძიებებისა და პროექტების ფარგლებში ინტენსიური ხასიათი მიეცეს დარგის პრაქტიკოსების მოწვევას და სტუდენტებისათვის მასტერკლასების ჩატარებას.

▪ **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- ✓ ფსიქოლოგის უფასო კონსულტაცია სტუდენტებისათვის.

▪ **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა(ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

-

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის „სატრანსპორტო ლოგისტიკა“ მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული, რეალისტური და მიღწევადია; მასში აღწერილია თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული პროგრამა

დაწესებულების მისიაში ნათქვამია, რომ უნივერსიტეტი მიმართულია უზრუნველყოს „საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში საგანმანათლებლო საქმიანობა (საბაკალავრო, სამაგისტრო და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები; მომზადება/გადამზადების და კვალიფიკაციის ამღლების ტრეინინგ-კურსები) როგორც განათლების პრიორიტეტულ დარგში - ტრანსპორტში (განსაკუთრებით, საზღვაო სფეროში), მისი ექსპლუატაციისა და მომსახურების, ადმინისტრირების, მენეჯმენტის და სხვა მიმართულებით, ისე საზოგადოების მოთხოვნებისა და საჭიროებების შესაბამის სხვა სფეროებში“, რაც ადასტურებს, რომ იგი შეესაბამება მისიას, მიზნებსა და სტრატეგიას;

პროგრამის მიზანი ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და საერთაშორისო ბაზრის ტენდენციებს, ასევე, მეცნიერების/დარგის, სახელმწიფოს ან/და საზოგადოების განვითარების მოთხოვნებს;

ვიზიტის პერიოდში სუსტად იქნა წარმოდგენილი პროგრამის ინტერნაციონალიზაციის საკითხები, იგი ძირითადად შემოიფარგლებოდა განმახორციელებელი პერსონალის საერთაშორისო კონფერენციებსა და ფორუმებში მონაწილეობით. აღნიშნული განხილული იქნა დაწესებულების ადმინისტრაციასთან ინტერვიუს დროს, აღინიშნა, რომ აქვთ გარკვეული რესურსები, რაც საჭიროა ეფექტურად გამოიყენონ პროგრამის ინტერნაციონალიზაციის მიზნით. მათი ინფორმაციით მიმდინარეობს მუშაობა სტუდენტებისა და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალისთვის საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში, სემინარებსა და სხვა ღონისძიებებში ჩართულობის ხელშეწყობისთვის.

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ინფორმაცია საჯარო და ხელმისაწვდომია. უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსებული კატალოგის საშუალებით მისი გაცნობა შეუძლია ნებისმიერ დაინტერესებულ პირს.

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები გაზიარებულია პროგრამაში ჩართული პირების მიერ. თვითშეფასების ჯგუფთან ინტერვიუს დროს დაწესებულების წარმომადგენლებმა აღწერეს პროგრამის მოდიფიცირების ეტაპები, აღნიშნეს, რომ ისინი სისტემატურად იკრიბებოდნენ და განიხილავდნენ მიღწეულ შედეგებს, აწყობდნენ საჯარო განხილვებს, სამუშაო პროცესებში მიღებულ შენიშვნებს ითვალისწინებდნენ. მათ მოახდინეს მოდიფიცირებული საგანმანათლებლო პროგრამის საბოლოო სახით

პრეზენტაცია. ასევე, გამოყენებული იქნა პროგრამის კოლეგიალური გარე შეფასება პარტნიორი უნივერსიტეტებისა და დაწესებულებების სპეციალისტების მიერ. კერძოდ, გეტმანის სახელობის კიევის სახელმწიფო საზღვაო ტრანსპორტის აკადემიის, ჩერნიგოვის ეროვნული ტექნოლოგიური უნივერსიტეტის, ექსპედიტორთა ასოციაციის წარმომადგენელთა მიერ.

აღსანიშნავია, რომ პროგრამის მოდიფიცირების პროცესში ჩართულები იყვნენ კურსდამთავრებულები და სტუდენტებიც, თუმცა სასურველია მათი ჩართულობის ხარისხი გაიზარდოს, რადგან ისინი ფლობდნენ ინფორმაციას, მაგრამ ვერ ასახელებდნენ საკუთარ ინიციატივებს. ინტერვიუს ფარგლებში სტუდენტები და კურსდამთავრებულები აღნიშნავდნენ, რომ კომუნიკაციას ადვილად ამყარებდნენ აკადემიურ პერსონალთან და საჭიროების შემთხვევაში ისინი ითვალისწინებენ სტუდენტების წინადადებებს.

დაწესებულებას მიეცა რჩევა, რომ მომავალში უზრუნველყონ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მეტი ჩართულობა საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და მოდიფიცირების პროცესებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა „სატრანსპორტო ლოგისტიკა“;
- შპს ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის ღირებულებები, მისია, მიზნები და ამოცანები;
- სტრატეგიული განვითარების გრძელვადიანი გეგმა (2013-2018);
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი;
- ვებგვერდი <http://bntu.edu.ge/>;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- დაწესებულებამ სასურველია გააფართოვოს და დააჩქაროს პროგრამის ინტერნაციონალიზაცია;
- დაწესებულებამ გააძლიეროს სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა ჩართულობა საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და მოდიფიცირების პროცესებში.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- -

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- -

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის „სატრანსპორტო ლოგისტიკა“ სწავლის შედეგები წარმოადგენს სასწავლო კურსების სილაბუსების სწავლის შედეგების ჯამს, შეესაბამება პროგრამის მიზნებს და მოიცავს შინაარსით გათვალისწინებულ ძირითად ცოდნას და უნარებს.

პროგრამაში წარმოდგენილი სწავლის შედეგები მიღწევადია და შეესაბამება კვალიფიკაციის შესაბამის დონეს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას „სატრანსპორტო ლოგისტიკის მაგისტრს“;

ისინი ასევე შეესაბამება პროგრამის კურსდამთავრებულთა ლოგისტიკის სფეროში დასაქმების სფეროების მოთხოვნებს და იძლევა დოქტორატურის საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას;

პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისობა დარგის სპეციფიკასთან და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან დადასტურდა დამსაქმებლებთან ჩატარებული ინტერვიუს დროს. ნათელი გახდა, რომ ისინი დაინტერესებულნი არიან პროგრამის განვითარებით და ჩართულები იყვნენ მისი მოდიფიცირების ეტაპზე აკადემიურ და მოწვეულ სპეციალისტებთან ერთად.

სტუდენტი, კურსდამთავრებული, დამსაქმებელი და სხვა პროგრამაში ჩართული პირები უზრუნველყოფენ დაინტერესებული პირებისთვის სწავლის შედეგების გაცნობას ისევე, როგორც პროგრამის მიზნებისას.

როგორც აღვნიშნეთ, მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის „სატრანსპორტო ლოგისტიკა“ შესახებ ინფორმაცია საჯარო და ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსებული კატალოგის მეშვეობით, რომელშიც აღწერილია პროგრამის სწავლის შედეგები. მისი რელევანტურობაც შეფასებული იქნა დამსაქმებლებისა და კოლეგების მიერ.

დაწესებულებას ჩატარებული აქვს პროგრამის ფარგლებში სტუდენტების სწავლის შედეგების მიღწევათა ანალიზი. საჭიროა ჩამოაყალიბოს სამიზნე ნიშნულები და განახორციელოს სწავლის შედეგების შეფასების შედეგების სამიზნე ნიშნულებთან დადარება;

უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულების მიერ დადგენილი სწავლის შედეგების შეფასების

სისტემა და პერიოდულობა ითვალისწინებს დარგის სპეციფიკას, მოიცავს შეფასების ადეკვატურ ფორმებსა და მეთოდებს, რომლებიც სტუდენტების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის დადგენის საშუალებას იძლევა;

პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი იცნობს სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებს. ისინი დაწესებულებისგან იღებენ მხარდაჭერას სწავლის შედეგების შედგენის, გაზომვისა და ანალიზის უნარების განვითარებისთვის ტრენინგებისა და სემინარების შეთავაზების გზით, დაწესებულების მიერ დადგენილი რეგულაციების შესაბამისად ახდენენ სტუდენტთა შეფასებას და ასევე, მათგან სტუდენტები იღებენ უკუკავშირს, თუ რამდენად მიაღწიეს პროგრამის სწავლის შედეგებს.

პროგრამის ხელმძღვანელი და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სწავლის შედეგების შეფასების შედეგებს იყენებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საერთო ჯამში, ქვესტანდარტის მოთხოვნათა სრულ შესაბამისობაში მოყვანისთვის საჭიროა დადგინდეს პროგრამისთვის სამიზნე ნიშნულები თითოეული სწავლის შედეგისათვის და განხორციელდეს სწავლის შედეგების შეფასების შედეგების სამიზნე ნიშნულებთან დადარება. ამასთან, სასურველია დანერგოს ერთზე მეტი შემფასებლის მიერ სწავლის შედეგების შეფასების პრაქტიკა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა „სატრანსპორტო ლოგისტიკა“;
- სასწავლო კურსის სილაბუსები;
- დამსაქმებელთა, კურსდამთავრებულთა, სტუდენტთა მოსაზრებების ანალიზი;
- პროგრამის სწავლის შედეგების შედგენაში/განხილვაში დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი;
- პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასება, სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები;
- აკადემიური მოსწრების ანალიზი 2013-2018 წლების მიხედვით;
- ვებგვერდი <http://bntu.edu.ge/> ;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- საჭიროა დაწესებულებამ დაადგინოს პროგრამისთვის სამიზნე ნიშნულები თითოეული სწავლის შედეგისათვის და განხორციელოს სწავლის შედეგების შეფასების შედეგების სამიზნე ნიშნულებთან დადარება.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- დაწესებულებამ სასურველია დანერგოს ერთზე მეტი შემფასებლის მიერ სწავლის შედეგების შეფასების პრაქტიკა.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- -

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

○ -

შეფასება

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	+			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამას „სატრანსპორტო ლოგისტიკა“ დაშვების შემდეგი წინაპირობა აქვს: საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად – არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი. დამატებითი მოთხოვნა - ინგლისური ენის ფლობა B2.1 დონეზე. შიდა გამოცდები ტარდება ლოგისტიკის საფუძვლებში და ინგლისურ ენაში (ინფორმაციის საჯაროობისა და ხელმისაწვდომობის მიზნით შიდა გამოცდების საკითხები წინასწარ განთავსდება ბნსუ-ს

ვებ-გვერდზე www.bntu.edu.ge). ინგლისურ ენაში გამოცდის ჩაბარება არ მოეთხოვება იმ მაგისტრანტობის კანდიდატს, რომელიც წარმოადგენს ინგლისური ენის არანაკლებ B2 დონეზე ფლობის დამადასტურებელ დოკუმენტს (მაგ.: უცხოეთში/საქართველოში ინგლისურ ენაზე მიღებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი (ატესტატი/დიპლომი), უცხოეთის/საქართველოს უსდ-ს მიერ გაცემული შესაბამისი ინფორმაციის შემცველი დიპლომის დანართი/ცნობა/სხვ., შესაბამისი უფლებამოსილების მქონე ორგანიზაციის /წარმომადგენლობის /სხვ. მიერ გაცემული სერტიფიკატები/ მოწმობები /სხვ., საერთაშორისო სერტიფიკატები (მაგ., TOEFL PBT, TOEFL IBT, ბრიტანეთის საბჭოს და კემბრიჯის უნივერსიტეტის ინგლისური ენის გამოცდები IELTS, ბრიტანეთის საბჭოს და კემბრიჯის უნივერსიტეტის ინგლისური ენის გამოცდები Cambridge Exam, კემბრიჯის უნივერსიტეტის Cambridge ESOL Examination და/ან სხვ.). წინამდებარე პროგრამაზე ჩარიცხვა ხდება სამაგისტრო გამოცდის (რანჟირების დოკუმენტის) საფუძველზე. საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე ჩარიცხვა ხდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში დადგენილი წესის შესაბამისად. პროგრამაზე სწავლა რეკომენდირებულია ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე იმ პირთათვის, რომელთა კვალიფიკაცია მიეკუთვნება პროგრამის მიმართულებას და/ან სპეციალობას. საგანმანათლებლო პროგრამის კატალოგი განთავსებულია დაწესებულების ვებგვერდზე და პროგრამაზე ჩარიცხვის ნებისმიერ მსურველს შეუძლია ამომწურავი ინფორმაცია მიიღოს მაგისტრატურაში სწავლის ერთ-ერთი პირობიდან - სპეციალობის შეცვლიდან გამომდინარეც სხვა მიმართულებაში/სპეციალობაში კვალიფიკაციის ფლობის შემთხვევაში პროგრამაზე სწავლის მიზანშეწონილობის შესახებ. გარდა ვებ-გვერდზე განთავსებული პროგრამის აღწერილობის გაცნობისა, მათ შეუძლიათ გაესაუბრონ პროგრამის ხელმძღვანელს, დააზუსტონ ინფორმაცია, მიიღონ რეკომენდაციები მათი კვალიფიკაციისა და პროგრამის სპეციფიკის შესაბამისობასთან დაკავშირებით და სხვ. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით წინამდებარე საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის გაგრძელება შესაძლებელია მობილობით უმაღლესი განათლების იმავე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების მაგისტრანტებისთვის. მაგისტრანტების მიერ უკვე მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობა წინამდებარე პროგრამასთან დადგინდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ბნსუ-ში არსებული, განათლების (კრედიტების) აღიარებასთან დაკავშირებული რეგულაციებით.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობაშია, გამჭვირვალება, სამართლიანია და საჯაროა. ინფორმაცია პროგრამაზე დაშვების წინაპირობის შესახებ ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებული პროგრამების კატალოგისა და საინფორმაციო ბანერის საშუალებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა „სატრანსპორტო ლოგისტიკა“;
- სასწავლო კურსის სილაბუსები;
- ვებ-გვერდი <http://bntu.edu.ge/>
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

○ -

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

○ -

შეფასება

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა „სატრანსპორტო ლოგისტიკა“ 120 კრედიტს მოიცავს. აქედან სასწავლო კომპონენტია 90 კრედიტი, ხოლო სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი - 30 კრედიტი. პროგრამის სასწავლო კომპონენტის 90 კრედიტიდან: სავალდებულო სასწავლო კურსებს ეთმობა 65 კრედიტი, არჩევით სასწავლო კურსებს 15 კრედიტი, პრაქტიკას 10 კრედიტი,

პროგრამა შედგენილია ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების და განხორციელების მარეგულირებელი“ 2007 წლის ნდ N2-030101-01 დებულების შესაბამისად. პროგრამის შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა შეესაბამება სწავლების საფეხურს.

პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. კერძოდ, პროგრამის შინაარსი, პროგრამა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტების არჩევითობას.

პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და

ევროპული კრედიტების ტრანსფერის ECTS სისტემის შესაბამისად.

დაწესებულება არის ISO ხარისხის მართვის სისტემის შესაბამისობის სერთიფიკატების ISO 9001:2015, ISNet მფლობელი, შესაბამისად უნივერსიტეტში მოქმედებს ხარისხის მართვის სისტემა, რაც აუმჯობესებს პროგრამის ადმინისტრირებას.

პროგრამაში შემაჯავლი სასწავლო, პრაქტიკული და კვლევითი კომპონენტები (მათ შორის, თითოეული სასწავლო კურსი) არის თანმიმდევრულად და ლოგიკურად დალაგებული. შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები არის ადეკვატური. სასწავლო კურსები ეფუძნება ახალი კვლევის შედეგებს და დარგის თანამედროვე მიღწევებს.

უსდ უზრუნველყოფს პროგრამის შესახებ ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების და განხორციელების მარეგულირებელი“ 2007 წლის ნდ N2-030101-01 დებულება;
- მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა „სატრანსპორტო ლოგისტიკა“;
- სასწავლო კურსის სილაბუსები;
- ვებ-გვერდი;
- დამსაქმებელთა, კურსდამთავრებულთა, სტუდენტთა მოსაზრებების ანალიზი;
- პროგრამის სწავლის შედეგების შედგენაში/განხილვაში დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- ვებ-გვერდი <http://bntu.edu.ge/> ;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- -

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

ძირითადი სპეციალობის სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. თითოეული სასწავლო კურსის შინაარსი შეესაბამება ამ სასწავლო კურსის სწავლის შედეგებს, თუმცა სასურველია ზოგიერთ სასწავლო კურსის შინაარსში თემების სათაურს დაემატოს თემის მოკლე აღწერილობა. კერძოდ, სასწავლო კურსებში: სტანდარტიზაცია და სერთიფიკაცია, სტრატეგიული მენეჯმენტი, საერთაშორისო ბიზნესი, ლოგისტიკის სატრანსპორტო უზრუნველყოფა და სხვა.

თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურს;

თითოეული სასწავლო კურსისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა არის 5 ან 5-ის ჯერადი, რაც საჭიროა კიდევ ერთხელ გადაიხედოს, დაზუსტდეს და მიენიჭოს კრედიტი სასწავლო კურსის სპეციფიკის, კერძოდ სირთულის, მნიშვნელოვნების, ასათვისებელი მასალის და სწავლების ფორმების გათვალისწინებით. მინიჭებული კრედიტების ფარგლებში საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების განაწილება ადეკვატურია სასწავლო კურსის შინაარსისა და მისაღწევი სწავლის შედეგების მიხედვით.

სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს, დარგის აქტუალურ მიღწევებს.

სასურველია სასწავლო კურსების ძირითად ლიტერატურაში გამოყენებულ ელექტრონულ ვერსიებში მითითებული იყოს ავტორის ვინაობა და საერთო გვერდების რაოდენობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა „სატრანსპორტო ლოგისტიკა“;
- სასწავლო კურსის სილაბუსები;
- პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასება, სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები;
- აკადემიური მოსწრების ანალიზი წლების მიხედვით;
- ვებ-გვერდი <http://bntu.edu.ge/> ;
- ინტერვიუს შედეგები.
- სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა www.bntu.ini.ge

რეკომენდაციები:

- სასწავლო კურსისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა საჭიროა დაზუსტდეს სასწავლო კურსის სპეციფიკის, კერძოდ სირთულის, მნიშვნელოვნების, ასათვისებელი მასალის და სწავლების ფორმების

გათვალისწინებით.
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <ul style="list-style-type: none"> ○ სასურველია ზოგიერთ სასწავლო კურსის შინაარსში თემების სათაურს დაემატოს თემის მოკლე აღწერილობა. ○ სასურველია სასწავლო კურსების ძირითად ლიტერატურაში გამოყენებულ ელექტრონულ ვერსიებში მითითებული იყოს ავტორის ვინაობა და საერთო გვერდების რაოდენობა.
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ -
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p>
<p>შეფასება</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p>

<p>2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება</p>
<p>პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>პროგრამა სწავლის შედეგებისა და საფეხურის შესაბამისად უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის პრაქტიკული და კვლევითი უნარების გამომუშავებას და მათ პრაქტიკულ და კვლევით პროექტებში ჩართვას.</p> <p>პრაქტიკის გავლის პერიოდში და კვლევით პროექტში ჩართვის შემთხვევაში სტუდენტს ხელმძღვანელობას უწევს დარგის კვალიფიციური პირი, რომელიც აფასებს სტუდენტის საქმიანობას.</p> <p>წარმოდგენილი მასალების გაცნობისა და ინტერვიუების შედეგად დადგინდა, რომ საჭიროა დაკონკრეტდეს პრაქტიკაზე გასაგზავნი პირების რაოდენობა, კრედიტების/საათების რაოდენობა და პრაქტიკის მიზანი, ვინაიდან დამსაქმებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებსა და მემორანდუმებში მითითებულია ფრაზა „სასწავლო</p>

უნივერსიტეტის სტუდენტების წინასწარ შეთანხმებული კონტიგენტის საწარმოო პრაქტიკაზე გატარება“ (გარდა ბათუმის საზღვაო ნავსადგურთან გაფორმებული ხელშეკრულებისა, რომელიც უზრუნველყოფს არაუმეტეს 5 სტუდენტის მიღებას პრაქტიკაზე).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სტატისტიკური მონაცემები სტუდენტთა ჩართულობის შესახებ სამეცნიერო-კვლევით პროექტებში;
- პრაქტიკის შედეგების ამსახველი დოკუმენტაცია;
- მემორანდუმები პრაქტიკის ობიექტებთან;
- პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები/მემორანდუმები;
- ინტერვიუს შედეგები;
- ვებ-გვერდი www.bntu.edu.ge/students

რეკომენდაციები:

- საჭიროა დაკონკრეტდეს პრაქტიკაზე გასაგზავნი პირების რაოდენობა, კრედიტების/საათების რაოდენობა და პრაქტიკის მიზანი

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თითოეული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

უნივერსიტეტში გამოიყენება სტუდენტის ინტერესებისა და აკადემიური მომზადების დონის შესაბამისად შედგენილი ინდივიდუალური პროგრამა.

პროგრამაში გამოყენებულია სწავლების შემდეგი ფორმები: ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა და/ან სხვა და სწავლება-სწავლის შესაბამისი მეთოდები: ვერბალური, ახსნა-განმარტებითი, პრაქტიკული, ანალიზი და სხვა. მათი გამოყენება ხდება სხვადასხვა კომბინაციის გამოყენებით, ისინი მოქნილია და ითვალისწინებს სტუდენტების საჭიროებებს.

დაწესებულებას აქვს დამტკიცებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების წესი და ასევე მისი გამოყენების პრაქტიკა, რომლის ნიმუშიც წარმოადგინეს აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტის დროს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა „სატრანსპორტო ლოგისტიკა“;
- ინდივიდუალური გეგმის შემუშავება და განხორციელება;
- სასწავლო კურსის სილაბუსები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტში მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის „სატრანსპორტო ლოგისტიკა“ ფარგლებში სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად, სამართლიანად გამოიყენება ყველა სტუდენტის მიმართ და შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან.

სტუდენტებთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ მათთვის შეფასების სისტემები კარგად არის ცნობილი, იგი გაწერილია სილაბუსებში და თავად ლექტორებიც აცნობენ სტუდენტებს. თუმცა, ვინაიდან რიგ სილაბუსებში (მაგ. ადამიანური რესურსების მართვა, კვლევის მეთოდოლოგია, ორგანიზაციული ქცევა) დასაზუსტებელია სტუდენტების შეფასებისას გამოყენებული კონკრეტული დავალებების რაოდენობა, მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტებს აქვთ საშუალება ელექტრონული ჟურნალის საშუალებით შეფასებებამდე გაეცნონ საგამოცდო ფორმატს, მაინც სასურველია, გაიწეროს მათი ზუსტი რაოდენობა (მაგ. ტესტებისა და ღია კითხვების).

სტუდენტებთან გასაუბრებისას, ასევე, აღინიშნა, რომ შუალედური და დასკვნითი გამოცდის შემდეგ ისინი იღებენ უკუკავშირს გასაუმჯობესებელი მხარეების შესახებ. დაწესებულებაში არსებობს გასაჩივრების მექანიზმები და სტუდენტები ინფორმირებულები არიან ამის შესახებ.

აკადემიურ პერსონალთან საუბრისას დადგინდა, რომ ისინი პერიოდულად აკვირდებიან სტუდენტების აკადემიურ მოსწრებას და ცდილობენ დაეხმარონ მათ შედეგების გაუმჯობესებაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „სატრანსპორტო ლოგისტიკა“ თვითშეფასების ანგარიში;
- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „სატრანსპორტო ლოგისტიკა“;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, მოხდეს შეფასების სისტემის დიფერენცირება სასწავლო კურსების სპეციფიკის მიხედვით.

<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <ul style="list-style-type: none"> - სასურველია, სილაბუსებში გაიწეროს სტუდენტების შეფასებისას გამოყენებული დავალებების ზუსტი რაოდენობა.
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○
<p>შეფასება</p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამისათვის სების შეფასების ადეკვატურობა		+		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

